პროექტი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
განკარგულება №
— მარტი 2026 წელი

ქალაქ თბილისში, კრწანისის რაიონში, ფარიხან სოფიევას ქუჩისთვის და მასთან არსებული ოთხი შესახვევისთვის სახელმწიფო მოღვაწის ფარიხანუმ სოფიევას სახელის მინიჭების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის - "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებისა და „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №14-59 დადგენილების თანახმად, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. კრწანისის რაიონში, ფარიხან სოფიევას ქუჩას და მასთან არსებულ ოთხ შესახვევს მიენიჭოს სახელმწიფო მოღვაწის ფარიხანუმ სოფიევას სახელი, თანდართული რუკის თანახმად.
2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ, ოთხი თვის ვადაში, უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.
3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარე **ზურაბ აბაშიძე**


X:490761 Y:4610546
ფარიხანუმ სოფიევას ქ
X:490666 Y:4610499
X:490796 Y:4610498
IV შეს
X:490906 Y:4610523
X:490800 Y:4610493
III შეს
X:490572 Y:4610436
ფარიხანუმ სოფიევას ქ.
X:491111 Y:4610371
II შეს.
X:491131 Y:4610327
X:490959 Y:4610280
I შეს
X:490992 Y:4610247
X:491007 Y:4610232
N
1:2,500

სახელებისა და სიმბოლიკის კომისიის თავჯდომარე

ლევან აბაშიძეს

საქართველოს აქტიურ აზერბაიჯანელ ქალთა ასოციაციის

დამფუძნებელი და საკრებულოსთან არსებული

ეთნიკური უმცირესობების საკოორდინაციო

საბჭოს წევრის გულია მუსტაფაევას

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

მოგეხსენებათ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის 25 აგვისტოს N432 განკარგულებით თბილისში, კრწანისის რაიონში მარნეულის გზატკეცილთან მდებარე უსახელო ქუჩას და მასთან არსებულ ოთხ შესახვევს მიენიჭა ცნობილი სახელმწიფო მოღვაწის, ფარიხან სოფიევას სახელი.

აღნიშნულ განკარგულებაში დაშვებულია ტექნიკური ხარვეზი პიროვნების სახელთან დაკავშირებით; კერძოდ ისტორიული წყაროებისა და დოკუმენტაციის თანახმად ქალბატონი სოფიევას სახელია **ფარიხანუმ.**

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გთხოვთ განიხილოთ საკითხი და შეიტანოთ შესაბამისი ცვლილება განკარგულებაში ტექნიკური ხარვეზის გასასწორებლად. ასევე გთხოვთ უზრუნველყოთ ქუჩაზე განთავსებული აბრების შეცვლა და საინფორმაციო აბრის დაყენება, სადაც მითითებული იქნება ინფორმაცია ქალბატონი ფარიხანუმ სოფიევას მოღვაწეობის შესახებ.

[redacted]

თარიღი: 22.01.2026

განმცხადებელი: ----------

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 432

"25" აგვისტო 2023 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისში, კრწანისის რაიონში, მარნეულის გზატკეცილთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის და მასთან არსებული ოთხი შესახვევისთვის სახელმწიფო მოღვაწის ფარიხან სოფიევას სახელის მინიჭების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის - "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებისა და „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №14-59 დადგენილების თანახმად, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. კრწანისის რაიონში, მარნეულის გზატკეცილთან მდებარე უსახელო ქუჩას და მასთან არსებულ ოთხ შესახვევს მიენიჭოს სახელმწიფო მოღვაწის ფარიხან სოფიევას სახელი, თანდართული რუკის თანახმად.

2. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ, ოთხი თვის ვადაში, უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ტყემალაძე


X:490761 Y:4610546
ფარიხან სოფიევას ქ.
X:490366 Y:4610499
X:490796 Y:4610498
IV შეს
X:490908 Y:4610523
X:490800 Y:4610493
III შეს
X:490572 Y:4610436
ფარიხან სოფიევას ქ.
X:491111 Y:4610371
II შეს
X:491131 Y:46
I შეს.
X:490959 Y:4610280
X:490992 Y:4610247
X:491007 Y:4610232

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
TBILISI CITY MUNICIPAL ASSEMBLY

წერილის ნომერი: **03-032334860**
თარიღი: **14/12/2023**

ადრესატი: საქართველოს ეროვნული არქივის თბილისის ცენტრალური არქივი
მისამართი: , საქართველო, 0186, თბილისი, ს. ზაქარიაძის ქ. №4, +995 32 2 390180, +995 32 2 290505, services@archives.gov.ge

საქართველოს ეროვნული არქივის
თბილისის ცენტრალური არქივის დირექტორს
მაკა კვარაცხელიას

ქალბატონო მაკა,

გაცნობებთ, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია ახორციელებს ინფორმაციის დამუშავებას ფარიხან (ფარი-ხანუმ) სოფიევას მოღვაწეობასთან დაკავშირებით. სოფიევა მონაწილეობდა 1918 წელს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის გამოცხადების შემდეგ გამართულ არჩევნებში და გახდა თბილისის მაზრის ერობის წევრი ყარაჯალარის საარჩევნო ოლქიდან.

მოგმართავთ თხოვნით, მოგვაწოდოთ თქვენს ხელთ არსებული ყველა იმ დოკუმენტის ასლი, რომელშიც მოხსენიებულია ფარიხან სოფიევა/ფარი-ხანუმ სოფიევა.

ნინო ვარდოსანიძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია-კომისიის
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

სსიპ საქართველოს ეროვნული არქივი

საისტორიო ცენტრალური არქივი, საქართველო, 0160, თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ.№1, +995 32 2 376526, +995 32 2 290505, services@archives.gov,ge.

28 / დეკემბერი / 2023 წ.

KA011999684187523

№ **11/49644**

ქალაქ თბილისის
მუნიციპალიტეტის
საკრებულო
თბილისი, 0114. თავისუფლების
მოედანი 2.

თქვენი 2023 წლის 14 დეკემბრის N 03-032334860 წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ საქართველოს საისტორიო ცენტრალურ არქივში ინახება საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამაზრო ერობის ფონდი (ფ. 2023). ფონდში დაცულია 1919 წლის 8 მარტის, თბილისის მაზრის ერობის ყრილობაზე დამსწრეთა სია. სიაში რიგით N 2 დაფიქსირებულია სოფიევა.

სადუძველი: ფონდი 2023, აღწერა 1, საქმე 17.
დანართი: 1 ფურცელი

ცენტრალური არქივის დირექტორის
მოვალეობის შემსრულებელი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

ქეთევან კობიაშვილი

უფროსი სპეციალისტი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

ნელი მაჭავარიანი

1) [illegible]
2) Capella
3) [illegible]
4) [illegible]
5) [illegible]
6) [illegible]
7) [illegible]
8) [illegible]
9) [illegible]
10) [illegible]
11) [illegible]
12) [illegible]
13) [illegible]
14) [illegible]
14) [illegible]
16) [illegible]
17) [illegible]
18) [illegible]
19) [illegible]
20) [illegible]
21) [illegible]

?

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო

წერილის ნომერი: **16-01231631113**
თარიღი: **12/06/2023**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
მისამართი: თავისუფლების მოედანი N2

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარეს

ქ-ნ ნინო ვარდოსანიძეს

მის: თავისუფლების მოედანი #2

ტელ:+995(32)2 15 92 92

ქალბატონო ნინო,

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - თბილისის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტომ განიხილა თქვენი 08.06.2023 წლის #03-032315988 (08.06.2023 წ. #14-01231593141-16) განცხადება, რომლის პასუხადაც მოთხოვნის შესაბამისად გიგზავნით კარტოგრაფიულ მასალებს არსებული დასახლების, სკვერის, სპორტული მოედნის, გზის, ჩიხების, შესახვევისა და გასასვლელების მითითებით. (იხ. დანართი)

პატივისცემით,

ვიქტორ წილოსანი

სააგენტოს უფროსი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

ფარიხანუმ სოფიევა

(1884-1953)

თბილისის მაზრის ერობის წევრი ყარაჯალარიდან, პირველი არჩეული მუსლიმი ქალი დეპუტატი მსოფლიოში

ფარიხანუმ სოფიევა 1884 წელს, საქართველოს აზერბაიჯანელებით დასახლებულ სოფელ ყარაჯალარში დაიბადა. მეფის რუსეთის დროს დიდი პოპულარობით გამოჩენილმა სოფიევამ, 1918 წელს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის გამოცხადების შემდეგ გამართულ საპარლამენტო არჩევნებში, თავის მშობლიურ რეგიონში დაამარცხა საქართველოს სოციალ-ფედერალისტთა პარტიის კანდიდატი და გახდა ეროვნული კრების დამოუკიდებელი წევრი. მიუხედავად იმისა, რომ სოფიევა აქტიური პერსონა იყო და დიდი ხნის მანძილზე ცხოვრობდა, მასზე ძალიან მცირე ინფორმაცია მოეპოვება.

ფარიხანუმ სოფიევა, 9 შვილიან ოჯახში ერთადერთი გოგო იყო. მეფის რუსეთის დროს, სოფიევა თავისი ძმების ხელმძღვანელი იყო, რითაც დიდი პოპულარობა მოიპოვა. ბანკიდან აღებული სესხით, სოფელში ობოლ ბავშვთა სახლი გახსნა. საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ, საქართველოს პარლამენტში აირჩიეს.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შესახებ წარმოებული კვლევის დროს, ისტორიკოსი აკაკი ხვადაგიანი ტიფლისის გუბერნიიდან არჩეულ დეპუტატთა სიაში აღმოაჩინა მუსლიმი ქალის გვარი. იგივე გვარი აღმოაჩინა ხვადაგიანმა სოციალისტ-ფედერალისტთა ოფიციალურ გაზეთში. ასე გახდა ცნობილი ისტორიისთვის პირველი ქალი დეპუტატი მუსლიმური სამყაროდან. 1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ, სამხრეთ კავკასიაში გარდამავალმა ხელისუფლებამ ადგილობრივი ხელისუფლების რეფორმა დაიწყო, რომელიც მიმდინარეობდა მძიმე პოლიტიკური ვითარების ფონზე, ხოლო საქართველოში რეალური ვითარება არ

შეიცვალა იქამდე, სანამ ქვეყანა დამოუკიდებლობა არ გამოაცხადა. 1918 წლის 26 მაისს, საქართველომ თავისი დამოუკიდებლობა გამოაცხადა, ამის შედეგად ქვეყანაში პირველი დემოკრატიული არჩევნები ჩატარდა. ამ დროს, ტიფლისის გუბერნიის ყარაჯალარის ოლქიდან. ფარიხანუმ სოფიევა ყველა დანარჩენ კანდიდატს აჯობა და არჩევნები მოიგო. ცნობილია, რომ ერობის წევრობისას მან მშობლიურ სოფელში რკინიგზის სადგურის აშენებას მიაღწია.

1921 წელს, საბჭოთა ჯარების მიერ საქართველოს ოკუპაციის შედეგად, ეროვნული კრების წევრების ქონება დაყადაღდა. ფარიხანუმის ახლობლების ინფორმაციით, მას საბჭოთა კავშირი და საბჭოთა სისტემა ეზიზღებოდა. სტალინის რეპრესიების დროს, სოფიევას 8 ძმიდან 5 დახვრიტეს და საერთო საფლავში დამარხეს. მათი გვამები დღემდე არ არის ნაპოვნი.

ფარიხანუმ სოფიევა 1953 წელს გულის შეტევით გარდაიცვალა, მას შემდეგ, რაც გაიგო, რომ მისი ერთ-ერთი ძმიშვილი დააკავეს.